საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურა ძლიერიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	10	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

თემურ გოგოხია

29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თემურ გოგოხია

2024 წლის 29 აპრილი, **ქ.თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - ,,საბჭო") 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ზურაბ ძლიერიშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

,,საბჭოს" 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

,,საბჭოს" 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ზურაბ ძლიერიშვილი (შემდგომში - ,,კანდიდატი").

,,საბჭოს" შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ,,კანონი") 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია ,,კანდიდატის" შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,კანონის" 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 24 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ,,საბჭომ" ჩაატარა ,,კანდიდატის" საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,კანონის" 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი", როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,კანონის" 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***,,საბჭოს" შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია***:

„კანდიდატი“ 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელია. კერძოდ:

-1998-2006 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
-2001-2006წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
-2001-2003 წლებში ასევე 2014 წელს იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
2005-2006წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;
-2003-2007 წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელებზე მოწვეული სპეციალისტი;
-2006-2008 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოწვეული ექსპერტი სხვადასხვა საერთაშორისო არბიტრაჟებში მიმდინარე დავებში საექსპერტო-სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
-2006-2008 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი;
-2009 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ეთიკის კომისიის წევრი;
-2009 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე იყო თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი არბიტრი;
-2012-2014 წლებში იყო კომპანიების გადახდისუუნარობის საქმეებზე მომრიგებელი საბჭოს სასამართლოს მიერ დანიშნული წევრი;
-2013-2014 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია საგანმანათლებლო საბჭოს წევრი;
-2014 წლის 17 ოქტომბრიდან განწესდა საქართველოს უზენაესი სასამართლო მოსამართლედ, იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატისა და დიდი პალატის წევრი;
-2015 -2017 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე;
-2020-2022 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე;
-2019-2022 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლო სადისციპლინო პალატის წევრი;

➢ ,,კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები ,,კანდიდატს" დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

➢ ,,კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაციები მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. კანდიდატი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

➢ ,,კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი და საკრედიტო ისტორია. ,,კანდიდატის" სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება ბინა 35 კვ.მ. და 44 კვ.მ. ქ.თბილისში, მიწის ნაკვეთი 7560 კვ.მ. დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მჭადიჯვარში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

➢ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატი" არ უფიქსირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ფაქტი.

➢ სასამართლოში ,,კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

➢ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ,,კანდიდატს" საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98.9% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 100% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც. საანგარიშო პერიოდში (967 დღე), მოსამართლემ დაასრულა 494 საქმის განხილვა.

➢ ,,კანდიდატმა" წარმოადგინა მის მიერ განხილულ 7 საქმეზე გამოტანილი განჩინებები.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები/სტატიები;

სტატია - გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას პროფ. ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წ., გვ.104-115. www.press.tsu.edu.ge

სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II ნაწილი წიგნი „მერიდიანი,"თბილისი, 2023 წ., 704 გვ. Meridian 777@ gmail.com

სტატია - ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით პროფ. ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023წ., საიუბილეო კრებული გვ.345-358. www.press.tsu.edu.ge

მონოგრაფია - დაუსწრებელი გადაწყვეტილება (თეორია და პრატიკა) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2022 წ., 405 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

სტატია - ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 6/2022, გვ.1-19. www.lawjournal.ge

სტატია - ჩუქების უკუქცევა შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 7/2022, გვ.28-50. www.lawjournal.ge

სტატია - გაცვლის ხელშეკრულება ქართულ სამართალში შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი/ IRZ, 8/2022, გვ.1-11. www.lawjournal.ge

Zurab Dzlierishvili Termination of Oblligation by Deposit Journal of Law #2(2021) Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.47-60. www. press.tsu.edu.ge

სტატია - ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით „სამართლის ჟურნალი" #2, 2021, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021წ., გვ. 52-67,www.press.tsu.edu.ge

Zurab Dzlierishvili Implication of the Principle of Nominalism upon Fulfillment of a Monetary Obligation Journal of Law #1(2020). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.14-28. www. press.tsu.edu.ge

დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში ელ.წიგნი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, 2020. LawLibrary.info/ge

სტატია - „ნომინალიზმის პრინციპის მნიშვნელობა ფულადი ვალდებულების შესრულებისას" „სამართლის ჟურნალი" #1, 2020 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020წ., გვ.14-29. www.press.tsu.edu.ge

დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი ელ.წიგნი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, 2020. LawLibrary.info/ge

დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (გაცვლა; ჩუქება; ნარდობა; სამისდღეშიო რჩენა) ელ.წიგნი www. gccc.tsu.ge, 2019წ.

სახელმძღვანელო - ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა (თეორია და პრაქტიკა) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2018 წ., 735 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

Zurab Dzlierishvili Cross undertaking as to Damages Resulting from a Provisional Remedg Journal of Law #1(2018). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.5-19. www. press.tsu.edu.ge

ზურაბ ძლიერიშვილი სტატია სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა „სამართლის ჟურნალი" #1, 2018 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018წ., გვ.5-22. www.press.tsu.edu.ge

Zurab Dzlierishvili Grounds for and Legal Consequenoces of Revocation of Donation Journal of Law #1(2017). Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, p.81-100. www. press.tsu.edu.ge

სტატია - ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და შედეგები „სამართლის ჟურნალი" #1, 2017 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017წ., გვ.105-127.

სახელმძღვანელო - ნარდობის ხელშეკრულება (თეორია და პრაქტიკა) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2016 წ., 534 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში წიგნი GIZ, თბილისი, 2015 წ.,198 გვერდი. www.giz.de/law-caucasus

სახელმძღვანელო -ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სახელშეკრულებო სამართალი წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2014 წ., 759 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

სახელმძღვანელო -ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სამოქალაქო საპროცესო სამართალი (პირველი ნაწილი) წიგნი „სამართალი", თბილისი, 2014 წ., 371 გვერდი.

სტატია - ზიანის ანაზღაურება, როგორც მეორადი მოთხოვნა, ნარდობის წიგნი საგამომცემლო სახლი „ტექნიკური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის. (კრებულში - კერძო სამართლის პრობლემატიკა) უნივერსიტეტი", თბილისი, 2013 წ., გვ.44-87.

სტატია - ვალდებულების შესრულებაზე უარის სამართლებრივი ბუნება. პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013წ., გვ.296-314. www. press.tsu.edu.ge

სტატია - მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე ჟურნალი „ადვოკატი"#1 2013 საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, 2013 წ., გვ.30-43.

სტატია - ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები. პროფესორ აკაკი ლაბარტყავას 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული წიგნი „სამართალი", თბილისი, 2013 წ., გვ. 178-191.

პრაქტიკული სახელმძღვანელო - სამოქალაქო საპროცესო სამართალი (კაზუსები და ტესტები) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2012 წ., 342 გვერდი. Meridian 777@ gmail.com

სტატია - ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან, პროფესორ რომან წიგნი „სამართალი", თბილისი, 2012., გვ. 314-329. შენგელიას 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული

სტატია - სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება „ სტუდენტური სამართლის ჟურნალი"#1, 2012 GIZ, 2012წ., გვ.104-119, www.giz.de/law-caucasus
მონოგრაფია - ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2011 წ., 287 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სახელმძღვანელო - ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2010 წ., 542 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სტატია - ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ელ.ჟურნალი Max-Plank-Instituts für auslendisches und Internacionalles Privatrecht, Hamburg, Deutschland, http// www.mpipriv.de/files/pdf/2010 02 17 012 pdf
პრაქტიკული სახელმძღვანელო - ვალდებულებითი სამართალი (კაზუსები და ტესტები) წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2009 წ., 355 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სტატია - სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების როლი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების განმარტებისას ჟურნალი „პროფესია ადვოკატი"#2, 2008 საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, 2008წ.
დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2007 წ., 140 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
მონოგრაფია - ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2006წ., 190 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სტატია - განქორწინების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი ჟურნალი „ ქართული სამართლის მიმოხილვა"#3-4, 2006. „ჯეპლაკი"თბილისი, ტომი 9/2006, #3-4, გვ.348-356
სახელმძღვანელო - ვალდებულების შესრულება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2006 წ., 146 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სტატია - სესხის ხელშეკრულება ჟურნალი „ ქართული სამართლის მიმოხილვა"#3-4, 2005. „ჯეპლაკი", თბილისი, ტომი 8/2005 #3/4/ გვ.382-390.
მონოგრაფია - ფულადი ვალდებულებების შესრულების თავისებურებანი წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2005 წ., 51 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
მონოგრაფია - ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2005წ., 50 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
დამხმარე სახელმძღვანელო - ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება წიგნი „მერიდიანი", თბილისი, 2004 წ., 58 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სტატია - სარჩელის ცნება, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის 70 წიგნი „"მერიდიანი", თბილისი, 2004წ. წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული Meridian 777@ gmail.com
სტატია - ლიზინგი, კრებულში სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური საკითხები წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003წ.
სტატია - უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული წიგნი GIZ,2003 წ., გვ.314-327.

სტატია - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით). ლიზინგი და გადასახადები ჟურნალი „სამართალი“#6- 7. 2003. საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 2003.
დამხმარე სახელმძღვანელო - ვალდებულებითი სამართალი (კაზუსები) წიგნი გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002 წ., 250 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
სტატია - ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“#4, 2002. „ჯეპლაკი“,თბილისი, ტომი 5/2002, #4., გვ.502-522.
დამხმარე სახელმძღვანელო - ნარდობის სამართლებრივი რეგულირება წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2001 წ., 80 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სამოქალაქო საპროცესო სამართალი, კრებულში ქართული სამართლის საფუძვლები წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2001წ. Meridian 777@ gmail.com
დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი მეორე წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2001წ.
დამხმარე სახელმძღვანელო - ზურაბ ძლიერიშვილი (თანაავტორობით) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი წიგნი „სამართალი“, თბილისი, 2001წ.
სტატია - დაკარგულ საწარმდგენლო ან საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა ჟურნალი „სამართალი“#6- 7, 2000. საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 2003 წ.
მონოგრაფია - უდავო წარმოება წიგნი „მერიდიანი“, თბილისი, 2000 წ., 67 გვერდი. Meridian 777@ gmail.com
დამხმარე სახელმძღვანელო - უდავო წარმოება საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999 წ., 65 გვერდი.
სტატია - შეგებებული სარჩელი, როგორც თავდაპირველი სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალება ჟურნალი „სამართალი“#6- 7, 1997. საქართველოს იურისტთა კავშირი, თბილისი, 1997 წ.
სტატია - ხანდაზმულობის ვადების ზეგავლენა სარჩელზე წიგნი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1997წ., 20 გვერდი.

➢ ,,კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: ,, კაპიტალის ბაზრის სამართლის გამოწვევები და პერსპექტივები, ევროპული დისკუსია და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისთვის, საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: მომხმარებელთა უფლების დაცვა”, კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ტრენინგი ბავშვთა უფლებები, მედიაცია საქართველოში გამოწვევები და პერსპექტივები და ა.შ.). კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

,,კანდიდატს“ 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

,,კანდიდატი“ ფლობს გერმანულ. რუსულ და ინგლისურ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

,,კანდიდატს" საჯარო მოსმენისას ,,საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატმა ამომწურავი პასუხი ვერ გასცა დასმულ შეკითხვებზე, კერძოდ: სრულყოფილად ვერ ისაუბრა ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული მექანიზმის შესახებ, არასრულად აღწერა მხილების ინსტიტუტის არსი და მამხილებლის დაცვის გარანტიები, ასევე, სრულყოფილად არ ისაუბრა აბსოლუტურ უფლებებზე და ა.შ.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 5-ვე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) ,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", ბ) ,,დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა", გ) ,,პიროვნული და პროფესიული ქცევა", დ) ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია" და ე) ,,ფინანსური ვალდებულება" - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

,,კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არ ქონა მიუთითებს, რომ ,,კანდიდატს", როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება.

გარდა ამისა, ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - ,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას), სიმართლისმოყვარეობა და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ ,,კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია,

მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

„კანდიდატი“ არის პრინციპული, ძალუძს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, მიუკერძოებელია პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, ასევე - სამართლიანია, რის გამოც მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

„კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული პიროვნება, ამასთან მას ძალიან კარგად შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

„კანდიდატს“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

„კანდიდატის“ შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, გავაკეთე „კანონის“ 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

„კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

➢ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. შესაბამისად, „კანდიდატი“, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, **შეფასეს 19 ქულით.**

➢ „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ წარმოდგენილი სტატიები და სახელმძღვანელოში მსჯელობა ადეკვატური, თანმიმდევრული და სათანადოდ დასაბუთებულია. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით **უნდა შეფასდეს 19 ქულით.**

➢ „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა ლოგიკური და ანალიტიკურია, საკუთარ აზრს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით **უნდა შეფასდეს 17 ქულით.**

➢ „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“, „კანონის“ 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით **უნდა შეფასდეს 10 ქულით.**

➢ „კანდიდატი“ გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო

პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე; აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი", ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)" მახასიათებლის მიხედვით უნდა **შეფასდეს 15 ქულით.**

➢ ,,კანდიდატი" მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში; ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ,,კანდიდატი", ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა **შეფასდეს 5 ქულით .**

➢ ,,კანდიდატი" მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა **შეფასდეს 5 ქულით.**

➢ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ,,კანდიდატს" **ვანიჭებ 90 ქულას.**

სახელი, გვარი: თემურ გოგოხია

ხელმოწერა:

თარიღი: 29.04.2024